



MES 4 21 0000786078



11/08/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 29 ივლისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/83899030584?pwd=c2ZJSzUvbFFOcTBrYjFBMzJ3ZFJOdz09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელსაბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზმესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

ნატო მეტურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი)

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი:

მამუკა ჭყონია - დირექტორი;

ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ირმა ლომია - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

მირანდა ამისულაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი.

ა(ა)იპ - ახალი პროფესიული კოლეჯი:

რეზო შარაბიძე - დირექტორი;

მაკა ვარდოსანიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

რევაზ ბიწკინაშვილი - პროგრამის (რელიგიური ტურის გიდი) განმახორციელებელი პირი;

მარიამ ნინიკაშვილი - პროგრამის (ტიხრული მინანქრის ნაკეთობის დამზადება) განმახორციელებელი პირი;

ლალი მანთაშაშვილი - პროგრამის (ქალის ტანსაცმლის კერვა, შეკეთება, გადაკეთება) განმახორციელებელი პირი.

ა(ა)იპ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი:

ნათია ნამიჭეიშვილი - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

ლიკა კილაძე - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, პროგრამის განმახორციელებელი პირი;

დავით გელუტაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

დავით მახვილაძე - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ანზორ აბშილავა - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

შალვა კელეპტრიშვილი - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

აკაკი გოჩოლეიშვილი - პროფესიული მომზადების პროგრამის „ამფეთქებელი“ ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

თამარ აფციაური - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი;

ლიკა ჩადუნელი - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სპეციალისტი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

გიორგი ბერია;

მარიამ სეფაშვილი;

მაია ხურცილავა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის - „შინმოვლის სპეციალისტის“ /01120/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: გიორგი ბერია, ლანა გაჩეჩილაძე.

2. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „საქმისმწარმოებლის“ /01131/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: მარიამ სეფაშვილი, ლანა გაჩეჩილაძე.

3. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის - „ფინანსური ანგარიშგების მომზადების“ /01005/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი: მაია ხურცილავა, მაყვალა დარსანია.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ამფეთქებელი“ /00281/ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

წარმდგენი: მაყვალა დარსანია.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რაიმე შუამდგომლობა ხომ არ იყო ცენტრის ან დაწესებულების მხრიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ. ქალბატონმა

ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრს შუამდგომლობა არ აქვს დღის წესრიგთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აცილება არ აქვთ საბჭოს წევრების მიმართ.

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის - „შინმოვლის სპეციალისტის“ /01120/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა საბჭოს აპარატის წევრმა, ლანა გაჩეჩილაძემ. მან თქვა, რომ დარგის ექსპერტ გიორგი ბერიასთან ერთად დისტანციური ვიზიტი განახორციელა მიმდინარე წლის 13 ივლისს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „შინმოვლის სპეციალისტი“. პროგრამა შემუშავებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის №27415 ბრძანებით დამტკიცებული „შინმოვლის“ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის დონე არის მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობაა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა (მოთხოვნილია ჯგუფში 25 მსმენელი ერთ მიღებაზე) ჯამში - 50 მსმენელი, პროგრამის განხორციელების ადგილია ქ.მარნეული, 26 მაისის ქ. №80.

კოლეჯი არის ავტორიზებულ პროფესიული დაწესებულება, ონლაინ ვიზიტის დროს გამოვლინდა მხოლოდ ერთი ხარვეზი:

2.1 ქვესტანდარტი - გამომდინარე იქედან, რომ პროგრამაზე წარმოდგენილი განმახორციელებლები პარარელურად დასაქმებულნი არიან სხვა სამსახურებში, ამ პროგრამის ხარისხიანი განხორციელება აღნიშნული ადამიანური რესურსებით, კვირეული 30 სთ-იანი დატვირთვით, მით უფრო 2 ჯგუფის ერთდროულად სწავლების შემთხვევაში შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს.

რეკომენდაციები უმეტესწილად დაფიქსირებულია პროგრამასთან მიმართებაში, კერძოდ:

1.4 ქვესტანდარტი პროგრამის შინაარსი და დარგობრივი სპეციფიკა სამედიცინო მიმართულებისაა და მომზადებულ სპეციალისტს შეხება ექნება საკმაოდ რთული ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე გერიატრიული და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების კონტინგენტთან, რეკომენდირებულია, აპლიკანტთა შერჩევისას (პროგრამაში მითითებულია - გამოცდა), ორგანიზაციამ უზრუნველყოს ისეთი კრიტერიუმების შერჩევა, რომელიც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამორიცხავს ფსიქოლოგიური მზაობის არ მქონე პირის პროგრამაზე ჩარიცხვას. ამავე მიზნით, სასურველია მინიმალური ასაკის ზღვრის გაზრდა ან პროფესიის მოსინჯვის მეთოდით მსმენელთა შერჩევა, რაც გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვამდე მსმენელები გაეცნონ რეალურ სამუშაო გარემოს და პირობებს, უშუალოდ პაციენტების მოვლის პროცესს.

1.6 ქვესტანდარტი პროფესიული მომზადების პროგრამის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამაში საბაზისო თეორიული კომპონენტი, როგორცაა საბაზისო ანატომია-ფიზიოლოგია არ არის წარმოდგენილი. გასაუბრებისას პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული კომპონენტი ჩაშენებულია და იგულისხმება

წარმოდგენილ თემატიკებში, თუმცა დადგინდა რეკომენდირებულად მიიჩნია ამ საკითხების პროგრამაში ცალკე გამოყოფა, რამდენადაც პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა მნიშვნელოვნწილად დამოკიდებულია აღნიშნულ თეორიულ კომპონენტზე.

1.7 ქვესტანდარტი რეკომენდირებულია პროგრამაში საბაზისო თეორიული კომპონენტის შემთხვევაში (როგორცაა საბაზისო ანატომია-ფიზიოლოგია), გაიზარდოს პროგრამის ხანგრძლივობა.

1.9 ქვესტანდარტი მიუხედავად იმისა, რომ „შინმოვლის“ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებისათვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 იანვრის N27415 ბრძანებით დამტკიცებული „შინმოვლის“ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნებით არ არის დადგენილი პრაქტიკის არსებობა რეალურ სამუშაო გარემოში, ექსპერტის მოსაზრებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსმენელებმა პრაქტიკები გაიარონ არამხოლოდ კოლეჯის C გარემოში, არამედ რეალურ სამუშაო გარემოში, რეალურ პაციენტებთან, რათა სრულყოფილად მიაღწიონ სწავლის შედეგებს, ადაპტირდნენ რეალურ შესასრულებელ სამუშაოსთან. ამ მიზნით, კოლეჯს საკუთარი ინიციატივით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს მირამედთან, თუმცა მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პარტნიორი ორგანიზაციის პაციენტმა/მომსახურების მომხმარებელმა შესაძლოა თანხმობა არ განაცხადონ მსმენელთა მათთან მიღებაზე/ჩართულობაზე, რეკომენდირებულია, კოლეჯმა უზრუნველყოს პარარეალურად პრაქტიკის განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება, რაც მომზადების პროცესს უფრო სტაბილურს გახდის.

3.4 ქვესტანდარტი კოლეჯს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის შემუშავებული აქვს არაერთი კითხვარი, რომლებიც მოიცავს დეტალიზებულ კითხვებს და ხშირ შემთხვევაში - არამხოლოდ მომზადების და გადამზადების პროგრამების სპეციფიკას, არამედ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას. ასევე, ხშირ შემთხვევაში ვხვდებით საკითხთა დუბლირება/გამეორებას კითხვებში, რაც ტექნიკურად ავრცობს კითხვარებს და შესაძლოა გახდეს შემფასებლის გულგრილი და ზერელე დამოკიდებულების მიზეზი, რეკომენდირებულია გადაიხედოს და დაიხვეწოს შემუშავებული კითხვარები მიზნობრიობის გათვალისწინებით.

შემდეგ ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა ფოტო მასალა, მან აღნიშნა, რომ AC გარემო აქვთ კომბინირებულად მოწყობილი, ტიხარი აშორებს სივრცეებს და კომფორტულია ამ მხრივ მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რაც გამოტანილია უფრო ხარვეზს ჰგავს, ვიდრე რეკომენდაციებს და თხოვა დარგის ექსპერტს ესაუბრა ამასთან დაკავშირებით.

ლანა გაჩეჩილაძემ ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ ცენტრმა სხვადასხვა მხარეების ჩართულობით და ეს მხარეები, სამუშაო ჯგუფში იყვნენ ის მოწინავე ორგანიზაციები, ვინც შინმოვლის მიმართულებით ფუნქციონირებენ და მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, იგივე კარიტასი, ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრი. დაინტერესებულ პირთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ამ პროგრამის განხორციელებას ბევრი ითხოვდა და ჩარჩო-დოკუმენტის ერთი მოდული არასაკმარისად მიიჩნია ცენტრმა, შემუშავდა პროგრამა მინიმუმი, როგორც მომზადების, ასევე გადამზადების პროგრამებისთვის. ბატონი გიორგი ამ პროცესის მონაწილე არ გახლდათ, ერთგვარად, პირველი შემოწმება გაიარა არარეალურ პროცესში ამ პროგრამამ და ბატონი გიორგის მოსაზრებები გარკვეულწილად იმ

სამუშაო ჯგუფის მოსაზრებებისგან განსხვავდება. ეს არის რეალობა, მინიმალური მოთხოვნები დამტკიცებულია და იმ დამტკიცებულს კოლეჯი იზიარებს ერთი ერთში პირდაპირი მნიშვნელობით.

დარგის ექსპერტმა, გიორგი ბერიამ აღნიშნა, რომ საბჭოს თავმჯდომარემ სწორად აღნიშნა, ვინაიდან ყველა ის რეკომენდაცია, რაც რეკომენდაციებშია ასახული, ხარვეზებად იყო გაწერილი. მაგალითად, პრაქტიკის მაგალითს რაც შეეხება, როდესაც მოწმდება საექთნო კოლეჯები, ძალიან დიდი აქცენტი არის გაკეთებული პრაქტიკის უზრუნველყოფის შესაძლებლობაზე. ეს მომზადების პროგრამა „შინმოვლა“ არის ზუსტად იგივე მიმართულება, სამედიცინო-საექთნო, ოღონდ საექთნო თუ მოიცავს პაციენტის ბევრ მანიპულაციას, ეს მოიცავს ერთს. შინაარსი და ლოგიკა არის ერთი და იგივე. გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო ექსპერტის პოზიცია, მაგრამ სტანდარტი მეტს არ თხოულობს, ბევრ კომპონენტთან მიმართებაში ეუბნებოდა იგივეს, პრაქტიკაზე, დროზეც. მისი, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტის აზრით, ამ პროცესის შედეგზე გასვლა შეიცავს რისკს, კერძოდ, ორ თვეში მოამზადო შინმოვლის სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ურთულეს პაციენტებთან, რომელსაც არ აქვს არანაირი გამოცდილება და მოდის სკოლიდან და თან არ თხოვ პრაქტიკას, არის რთული შედეგის მისაღწევად. მეორე, შინაარსი და პრინციპი საექთნო მიმართულებას და შინ მოვლას ერთნაირი აქვს, კონტენტი და მოცულობა ერთია, მაგრამ ერთგან პრაქტიკას ვთხოულობთ და მეორეგან არა, აღნიშნული საკითხი ცხადი აღმოჩნდა თვითონ კოლეჯისთვისაც, შედეგად გააფორმდა ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან ვინაიდან ზემოაღნიშნული საკითხები არ იყო გათვალისწინებული ცენტრის მიერ დამტკიცებულ მინიმალურ სტანდარტში, დასკვნაში აისახა რეკომენდაციის ფორმით., რაც შეეხება, მასწავლებლების რაოდენობასთან დაკავშირებულ ხარვეზს , ეს მასწავლებლები პარალელურად არიან კოლეჯის საექთნო საქმის მასწავლებლები, ერთ-ერთი არის პარტნიორი ორგანიზაციის, სადაც პრაქტიკა უნდა განხორციელდეს, შპს მირამედის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რომელიც მუშაობს თბილისში. მისი აზრით, თეორიულად ეს სამი მასწავლებელი ამ პროგრამის პროცესს დაფარავდა, თუ ისინი ძირითადად და მაქსიმალური დატვირთვით იქნებოდნენ. მოთხოვნილია 50 მსმენელი, ორი ჯგუფით. თქვეს, ერთ ჯგუფს მივიღებთ თავიდანო, მაგრამ ვთქვათ, მოვიდა 50 მსმენელი და არის 2 ჯგუფი, დღეში 6 საათი დატვირთვით, თეორიულად ეს სამი მასწავლებელი ძლივს საკმარისი იქნებოდა, თუ ისინი ძირითადად ამ საქმით იქნებოდნენ დაკავებული. ამიტომ დაწერეს ხარვეზში, რადგან მისი აზრით, ეს შეუსაბამოა.

ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა მინიმალურ ჩარჩოსთან დაკავშირებით, რომელიც ცენტრის დირექტორის მიერ არის დამტკიცებული. ცენტრის პოლიტიკაა მემორანდუმების საფუძველზე თანამშრომლობა იმ ორგანიზაციებთან, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ გარკვეული მიმართულებებით. ერთ-ერთი თანამშრომლობის მემორანდუმი იყო მომზადება/გადამზადების მინიმალური სარეკომენდაციო ჩარჩოს შექმნა შინმოვლის მიმართულებით. დამტკიცებულია სარეკომენდაციო ჩარჩო და ყველა მსურველს დაეგზავნა, განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზეც და ცენტრის რეკომენდაცია ასეთია, რომ ის პროგრამები, რომელსაც შემოიტანენ დაწესებულებები, მინიმუმ ამ ჩარჩოს მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. ამ შემთხვევაში დაწესებულებამ აირჩია მინიმუმი და აღარ განავრცო, თუმცა ვერ შევედავებით, იმუშავა ჯგუფმა, ბატონი გიორგი ძალიან კომპეტენტური ექსპერტია და ამიტომ ცდილობენ ხშირად ჩართონ საქმისწარმოებებში. მისი დასკვნები ყოველთვის ფასეულია, მაგრამ ამ შემთხვევაში დაწესებულების მხარეზეა იმ თვალსაზრისით, რომ მისი რეკომენდაცია იყო და ბატონ გიორგისაც გადასცა მისი მოსაზრება ლანას საშუალებით, რომ თუ დაწესებულება მინიმალურ რეკომენდაციებს დაიცავდა და პროგრამას ისე ააგებდა შინაარსის ნაწილში, იდეაში პრობლემა არ შეექმნებოდათ. გამოდის, რომ თვითონ ეს სარეკომენდაციო ჩარჩო არ არის სრულყოფილი და აბსოლუტურად ეთანხმება ექსპერტს, რასაც

ისმენს. ხვდება, რომ ნამდვილად არ არის სრულყოფილი და ნამდვილად ვერ მომზადდება ისეთი სპეციალისტი, რომელიც საჭიროა ამ სფეროსთვის, ცალსახად ეთანხმება ექსპერტს თავიდან ბოლომდე, უბრალოდ, უნდა კოლეჯის პოზიციაც დაიცვას, რადგანაც მას ჰქონდა ეს ჩარჩო და მათგან ჰქონდა რჩევა, თუ დაიცავდა ამ ჩარჩოს, პროგრამა არ იქნებოდა უარყოფითად შეფასებული, ამიტომ ცალსახად იზიარებს იმას, რომ ცენტრში უნდა შემოვიდეს ექსპერტის რეკომენდაციები, გადასამუშავებელია ჩარჩო სიღრმისეულად და შესაძლოა გაფართოვდეს ის ჯგუფი, რომელთაც მიერ იქნა შემუშავებული მინიმალური ჩარჩო და ყველა რეკომენდაცია იქნას ასახული პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩოში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის მომზადდა სარეკომენდაციო ჩარჩო ვინ იყო ამის მომზადებაში ჩართული, რაზედაც ნანი დალაქიშვილმა უპასუხა, რომ რამდენიმე თვე მიმდინარეობდა მუშაობა და მომზადდა ჩარჩო მიმდინარე წლის იანვარში, ჩართული იყო კარიტასის და რამოდენიმე კოლეჯის წარმომადგენელი, რომლებიც ახორციელებენ საექტონო განათლების პროგრამას და ასევე აქვთ შინამოვლის მოდულის განხორციელების გამოცდილება, სამუშაო ჯგუფში ასევე გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი იყო ჩართული.

დარგის ექსპერტმა გიორგი ბერიამ დაამატა, რომ კოლეგიალობის თვალსაზრისით, მათ ურჩიეს დაწესებულებას გაითვალისწინოს ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი დიდი ხანი მუშაობდნენ ამ პროგრამაზე და გადიოდნენ 4 თვეზე, თუმცა დამტკიცდა მინიმალური სტანდარტი, რის საფუძველზეც იქნა შემუშავებული წარმოდგენილი პროგრამა. ასევე მათ გააფორმეს ხელშეკრულება დამსაქმებელთან, თუმცა არ იყო ამისი აუცილებლობა. მან მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნანის, განმარტებისთვის, და დაამატა, რომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ის რაც ხარვეზად არის გამოტანილი, სამივე განმახორციელებელი აბსოლუტურად ფარავს პროგრამით წარმოდგენილ თემატიკას. 30 საათიანი კვირული დატვირთვა, 6 საათი დღეში, სამივე განმახორციელებელი ჩართულია პროგრამის თემატიკის განხორციელებაში, ზოგს უწევს 2 საათი, რიგ შემთხვევაში 3 საათი, ან 1 საათი დღის განმავლობაში. 6 საათი არ არის დაკავებული კონკრეტული განმახორციელებელი, საათები გადანაწილებულია. ეს ტექნიკურად შესაძლებელია, სასწავლო პროცესი იქნება ორგანიზებული და არ იქნება პრობლემა. პროცესს დაიწყებენ მინიმალურად, რომ შემდეგ ხარვეზები რაც იქნება გაასწორებენ, ისინი მიიღებენ მხოლოდ ერთ ჯგუფს თავიდან. რაც შეეხება ხარისხის კითხვარებს, ისინი მთლიანად დაეყრდნენ კოლეჯის ხარისხის განვითარებას და გაითვალისწინებენ, რომ ეს კითხვარები გაასწორონ რეკომენდაციის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები აღნიშნულ 2.1, 1.4, 1.6, 1.7, 1.9 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოვიდა ხარვეზად თუ რეკომენდაციად.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ საინტერესო საკითხია და ეთანხმება ექსპერტს რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ხოლო განმახორციელებელი პირების დატვირთვასთან დაკავშირებით, ის ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელს, და იზიარებს მის დასაბუთებას. ეს ორგანიზების საკითხია და თუ დაწესებულება თვლის, რომ შეუძლია გადაანაწილოს, ამას ეთანხმება, თუმცა რაც ეხება ანატომია-ფიზიოლოგიის საკითხების გამოყოფას, რეალურ სამუშაო გარემოს, პრაქტიკას, შერჩევის ფორმას, ექსპერტს ეთანხმება, მაგრამ იმის გამო, რომ მინიმალური სტანდარტი დაწესდა და მას რაღაც დააკლდა, ბუნებრივია, დაწესებულება არ უნდა დაისაჯოს, თუმცა სტანდარტი მინიმალურია, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შეეძლოთ და უნდა ჩაემატებინათ, საკითხები, რაც პროგრამის ხარისხს გაზრდიდა, როგორც ეს პრაქტიკის ობიექტთან ხელშეკრულების დროს გააკეთეს. კარგი იქნებოდა, თუ

საბჭო მისცემდა დაწესებულებას ერთვიან ვადას, რათა დაწესებულებას გაეთვალისწინებინა ექსპერტის რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ერთვიანი ვადის მიცემასთან დაკავშირებით ეთანხმებოდნენ თუ არა მარიკა ზაქარეიშვილს, ან განსხვავებული მოსაზრება დაეფიქსირებინათ.

თორნიკე თოხაძემ მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ იზიარებდა მარიკა ზაქარეიშვილის მოსაზრებას, აღნიშნა, რომ იმდენად ზუსტად იქნა განმარტება გაკეთებული, რომ ვერაფერს დაამატებდა.

ნიკოლოზ მესხიშვილმა დაამატა, რომ, ექსპერტი ყოველთვის ორიენტირებულია, რომ სტანდარტი აწიოს და ეს დასაფასებელია, ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის, განათლებისთვის მნიშვნელოვანი, როცა თითოეული ადამიანი ცდილობს იმაზე უკეთ აკეთოს, ვიდრე ვალდებულებაა, ესაა პროფესიონალიზმი. რაც შეეხება სტანდარტებს, მან აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებდა და ეთანხმებოდა კოლეჯის ხედვას იმასთან დაკავშირებით, რომ განისაზღვრა მინიმალური სტანდარტი, თუმცა ამავდროულად არ იზიარებდა პოზიციას, რომ რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რადგან პრეტენზიაა აღზარდოს ახალგაზრდები, რადგან ორიენტირებულია მინიმალური სტანდარტი დააწესოს, გამოდის, რომ მსმენელი, რომელიც ეყოლება, მინიმალურ სტანდარტს დააკმაყოფილებს, ძალიან ცუდი სპეციალისტები გვეყოლება ისეთ სფეროში რასაც ჯანდაცვა ჰქვია. მომავალში ეს მინიმალური სტანდარტები უნდა აიწიოს და ისეთი ექსპერტები, როგორც გიორგია, ჩაერთოს და მოხდეს გადახედვა. მან დააფიქსირა, რომ ერთვიანი ვადის მიცემას ეთანხმებოდა.

სასწავლო პროცესის კუთხით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა ლომაიამ. მან აღნიშნა, რომ 30 საათია კვირეული დატვირთვა და 30 საათი რომ გაიყოს სამზე, 10 საათი უწევთ კვირეული დატვირთვა თითოეულ პედაგოგს, ისინი მაქსიმალურად იტვირთებიან ამ შინამოვლის პროგრამაზე. თითოეულს უწევს 10 საათი კვირეული დატვირთვა და დღეში 2 საათის ჩატარება არ უნდა იყოს პრობლემა.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი იყო დატვირთვა ამ ორი განმახორციელებლის სხვა პროგრამაზე, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი არის დატვირთული ამ პროგრამაზე, მისი ყოველკვირეული დატვირთვაა 15 საათი. გარდა ამისა, ამ პროგრამაზე სხვა განმახორციელებელიც ყავთ. შესაძლებელია ჩანაცვლება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ პროგრამა ხორციელდება კურაციულად. კერძოდ, ერთი მოდულის დასრულების შემდეგ იწყება მეორე მოდული, და ა.შ. რაც ხელს არ შეუშლის წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, თუ არის მათთვის ნათელი ერთვიანი ვადაში რა ექნებათ გასასწორებელი, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გასაგები იყო თუ რა უნდა გამოსწორებულიყო ერთვიანი ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის - „შინამოვლის სპეციალისტის“ /01120/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გასასწორებლად ერთვიანი ვადის მიცემის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

მიეცეს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს ერთთვიანი ვადა - „შინმოვლის სპეციალისტის“ /01120/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გასასწორებლად.

ქრისტინე მეფარიშვილი გავიდა საბჭოს სხდომიდან 10:30 სთ-ზე და შემოუერთდა სხდომას 11:45 საათზე და პირველი და მეორე საკითხის კენჭისყრაში ვერ მიიღო მონაწილეობა.

2. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „საქმისმწარმოებელი“ /01131/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მარიამ სეფაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დისტანციური ვიზიტი განხორციელდა კოლეჯში მიმდინარე წლის 14 ივლისს, რომელსაც ესწრებოდა ცენტრის წარმომადგენელი ლანა გაჩეჩილაძე.

პროფესიული მომზადების პროგრამა - საქმისმწარმოებელი, მეოთხე დონე, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მოთხოვნილი მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, ერთი ჯგუფის შემთხვევაში -12, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

1.2 ქვესტანდარტი - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, თუმცა რეკომენდირებულია სასწავლო კვირებით განსაზღვრული თემატიკების კონკრეტული ჩაშლა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განმახორციელებელ პირს სალექციო პროცესის უკეთ წარმართვაში.

1.8 ქვესტანდარტი - პროგრამის მიზანი ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, თუმცა პროგრამის შინაარსში სწავლების მეთოდ(ებ)ში მოცემულია მხოლოდ: ლექცია; სამუშაო ჯგუფში მუშაობა; პრაქტიკული მეცადინეობა; რეკომენდირებულია სწავლების მეთოდებში დაემატოს როლური თამაში (სიმულაციური სიტუაცია).

1.9 ქვესტანდარტი - პროგრამა (პროგრამის მიზანი) ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, თუმცა პროგრამა ხორციელდება B სასწავლო გარემოში, ვინაიდან სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს რეალური სამუშაო გარემოს იმიტაციას რეკომენდირებულია სასწავლო გარემო დაკორექტირდეს და მიეთითოს როგორც B/C გარემო.

1.1 ქვესტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით, კოლეჯმა დამატებით წარმოადგინა „საქმისმწარმოებლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების კვლევა, სადაც ნათლად ჩანს, რომ 2011 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, რამდენად მზარდია ამ პროგრამაზე მიღება. კოლეჯი ახორციელებს „საოფისე საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, სწორედ დიდმა მოთხოვნამ განაპირობა ამ პროგრამის განხორციელების სურვილი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი საქართველოს საპატრიარქოს

საქველმოქმედო ფონდ „ლაზარესთან“, რომლის მიზანს წარმოადგენს კოლეჯში მომზადებული საქმისმწარმოებლების დასაქმება ფონდის სხვადასხვა საგრანტო პროგრამებსა და პროექტებში.

შემდეგ ექსპერტმა წარმოადგინა ფოტო მასალა, კერძოდ სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკის ფოტოები. ვიზიტის დროს დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსი, რაც სრულიად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

დაწესებულების დირექტორმა რეზო შარაბიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს განხორციელებული ვიზიტისათვის და აღნიშნა, რომ ცენტრი ყოველთვის ეხმარება სხვადასხვა საკითხების განხილვაში და ახალი წამოწყებების დროს მხარში უდგათ. ასევე, ვიზიტის დროს მათ მიიღეს მნიშვნელოვანი რჩევები და რეკომენდაციები ექსპერტისგან და გაითვალისწინეს დაშემდგომშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესშიც. მან დაამატა, რომ რეკომენდაციები მისაღებია და გათვალისწინებული იქნება.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა რამდენიმე საკითხით, კერძოდ, პირველი კითხვა ეხებოდა ავტორიზებულ პროგრამას, დაინტერესდა სახელწოდებით და აღნიშნა, რომ ხომ არ იქნებოდა პროფესიული მომზადების პროგრამა ავტორიზებული პროგრამის დუბლირება, რადგან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა კონკრეტულ ცოდნას აძლევს, მეორე კითხვა იყო, რომ მათ ძალიან აკადემიურად დამუშავებული კვლევა ჰქონდათ გამოგზავნილი, სადაც ნაჩვენებია მხარდი რაოდენობა მსურველების, რომ მოთხოვნადია, მაგრამ საინტერესოა, თვითონ ბაზარზე, კონკრეტულად სად საქმეებიან მომზადებული კადრები და მესამე, ნახსენები იყო საპატრიარქო, ხომ არ უფიქრიათ, მაგალითად, სამინისტროებთან, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან რეკომენდაციების გაკეთების, რადგან ისინი იყენებენ უფრო, მათ სჭირდებათ ყველაზე მეტად ეს საქმისმწარმოება, ასევე, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემები თუ არის გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაიტერესდა თუ რა განსხვავება იყო საოფისე საქმესა და საქმისმწარმოებელს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქმისმწარმოებელი, უფრო ვიწრო სპეციალიზაციაა, საოფისე საქმე კი უფრო მეტი ცოდნის მიღებას გულისხმობს. რა თქმა უნდა გათვალისწინებული იქნა ავტორიზებული პროგრამა, თუმცა პროფესიული მომზადების პროგრამაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული აქვთ დოკუმენტებთან მუშაობაზე. საოფისე საქმის სწავლება რამდენიმე მოდულს მოიცავს და სხვადასხვა სწავლის შედეგებს, თქვა ექსპერტმა, რაც ბუნებრივია, ამ მოკლე პროგრამაში არ არის ჩადებული და მხოლოდ ისეთი სწავლის შედეგები არის გადმოტანილი, რაც სჭირდება საქმისმწარმოებელს და არა ზოგადად, საოფისე საქმის მმართველს. საქმისმწარმოებელმა უნდა იცოდეს ბუნებრივია, საოფისე საქმის სპეციფიკა ღონისძიების დაგეგმვასთან დაკავშირებით და ა.შ. და სწორედ ამ დონეზეა ჩადებული ეს საკითხები და არა უფრო ფართოდ, რასაც მოითხოვს ავტორიზებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

სახელწოდებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სახელი შეირჩა იქედან გამომდინარე, რომ მაგალითად, სკოლებში არიან საქმისმწარმოებლები, დასაქმებულები დირექციაში, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ დოკუმენტაციას. სხვა დაწესებულებებშიც არიან ასეთი კადრები, რომლებიც სამდივნოს უფროსს, მთავარ სპეციალისტს ეხმარებიან ტექნიკურად, დოკუმენტების შექმნაში. დიდი პრობლემა არის ძირითადად, შინაარსის შექმნაში, ჩამოყალიბებაში, ზოგადად ორგანიზაციაში. ის პირადად წააწყდა ასეთ პრობლემებს თავის ორგანიზაციაში და მათი პროგრამა ზუსტად ამას

ითვალისწინებს, რომ დიდი აქცენტი გაკეთებულია დოკუმენტის სწორად მომზადებაზე, დოკუმენტის გაგზავნაზე, თუნდაც ელექტრონული სისტემის დანერგვაზე.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ საქმისმწარმოებელი და საოფისე საქმის სპეციალისტი პოზიციურად იყო თუ არა ერთი და იგივე, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საოფისე საქმის სპეციალისტი ოფისის მენეჯერი გამოდის, ოფისის მმართველი, მარაგების კონტროლიც უნდა განახორციელოს, ხოლო საქმისმწარმოებელი ცალკეა, როგორც არქივი შეიძლება იყოს, ცალკე გატანილი.

მარიკა ზაქარეიშვილმა დასძინა, რომ კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთანაც გააფორმებდა ხელშეკრულებებს, სწორედ მათ სჭირდებათ ასეთი კადრები და რეალურ გარემოში პრაქტიკის მიღება გამოადგებოდათ მათ მსმენელებს.

ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ არ იყო წინააღმდეგი ამ პროგრამის განხორციელებაზე უფლების მინიჭების.

ქრისტინე მეფარიშვილმაც დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ეთანხმებოდა ამ პროგრამაზე უფლების მინიჭებას.

თორნიკე ჯობავამ დაამატა, რომ რეკომენდაციების მიმღებლობა და მზაობა ჰქონდა დაწესებულებას და ისიც ეთანხმებოდა მიეცაეთ უფლება პროგრამის განხორციელების.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის - „საქმისმწარმოებლის“ /01131/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა -, „საქმისმწარმოებელი“ /01131 (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ივლისი.

3. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის – „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ /01005/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოზე დასკვნის პრეზენტაცია წარადგინა მათა ხურცილავამ, პროგრამა „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“, პროფესიული მომზადების პროგრამა, კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე - მეხუთე, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - 10, მოთხოვნილი რაოდენობა ჯამში - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შეს. №8.

ამ პროგრამას საბჭოს მიერ 2021 წლის აპრილში მიეცა ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა განახლებული პროგრამის შეფასება და ამ შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ გაიზარდა პროგრამის ხანგრძლივობა, შინაარსობრივ ნაწილში შევიდა თემატიკა, რის შედეგაც პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის სწავლის შედეგთან. პროგრამის შემოწმება განხორციელდა წარმოდგენილ პროგრამაზე დაყრდნობით, ვიზიტის გარეშე. პარალელურად, რათქმა უნდა გაეცნო საბჭოს ოქმს, ვინაიდან წინა ვიზიტზე სხვა ექსპერტი იყო, პროგრამა შეფასდა მხოლოდ პირველ სტანდარტთან მიმართებაში. ხარვეზიარ გამოვლენილა დარეკომენდაციებიც არ გაცემულა.

1.1 ქვესტანდარტი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის ეროვნული განვითარების პერსპექტივებს. დაწესებულების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა პროფესიული განათლების ხელშეწყობა. ამ მიმართულებით დაწესებულებას დაწესებულებას აქვს მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება. როგორც პროგრამის საჭიროების შესწავლის, ასევე მისი შემუშავების დროს დაწესებულებამ ითანამშრომლა სხვადასხვა პროფილის მქონე დამსაქმებელ კომპანიებთან, შეისწავლა მათი საჭიროება. პროგრამის შემუშავებისას დაწესებულების მიერ გაანალიზდა სამსახურის მამიებელთა და დამსაქმებელი ორგანიზაციებისაგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა პროფესიული მომზადების პროგრამა „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“, რომელიც მიზნად ისახავს: 1. შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც ექნებათ საკვანძო კომპეტენციები ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად; 2. სამიზნე ჯგუფებში ფინანსური განათლების დონის ამაღლებით, ზოგადად ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

1.2 ქვესტანდარტი პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგებიდან და თემატიკიდან. წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ცვლილება განხორციელდა პროგრამის შინაარსში, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის მიზანთან და შედეგთან. კერძოდ, პროგრამაში „მმართველობითი აღრიცხვის“ თემატიკა ჩანაცვლდა თემატიკით „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების შესწავლისთვის.

1.3 ქვესტანდარტი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია მისი დასრულების შემდეგ მსმენელმა შეძლოს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების და პრინციპების, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შინაარსისა და თავისებურებების ჩამოყალიბება;

სამეურბნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის, სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების შედგენა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება.

1.4 ქვესტანდარტი პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმააა გამოცდა და გასაუბრება. აღნიშნული შეესაბამება კანონმდებლობას და სწავლის შედეგების ადეკვატურია.

1.5 ქვესტანდარტი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.

1.6 ქვესტანდარტი

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ფორმულირება მოიცავს ცოდნა-გაცნობიერებას, უნარებსა და კომპეტენციას.

1.7 ქვესტანდარტი პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 კვირას, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს პირველიდან მე9 კვირის ჩათვლით 15 საათს, ხოლო მე-10 კვირას - 8 სთ. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წინამდებარე პროგრამის ფარგლებში გაზარდა პროგრამის ხანგრძლივობა და საათობრივი დატვირთვა.

1.8 ქვესტანდარტი პროგრამაში მითითებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორცაა ინტერაქციული ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

1.9 ქვესტანდარტი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს სამუსაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის მეტი დრო ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, პროგრამით გთვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების იმიტირებულ სამუშაო გარემოში, პრაქტიკული მეცადინეობების გზით.

1.10 ქვესტანდარტი პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები: გამოკითხვა და პრაქტიკული დავალების შესრულება. აქედან გამომდინარე, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე და სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

მან დასძინა, რომ სტანდარტი ქვესტანდარტებით არ არის დარღვეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, კითხვები ხომ არ ჰქონდათ და რადგან საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ, დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა სიტყვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტს პროგრამის წარდგენისთვის და დასძინა, რომ გათვალისწინებული იქნა ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მიეცა დაწესებულებას წინა საბჭოზე. პროგრამა ძალიან მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და პოტენციური დამსაქმებლები უკვე ელოდებიან კურსდამთავრებულებს, რომ დაასაქმონ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის – „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ /01005/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრს (ს/კ: 212907522) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ /01055 (დანართი 2).

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ამფეთქებელი“ /00281/ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

პრეზენტაცია წარადგინა მაყვალა დარსანიამ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შემოიტანა განაცხადი „ამფეთქებლის“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. მათ ადრე მოპოვებული ჰქონდათ უფლება 15 მსმენელისთვის. დაწესებულება ითხოვდა მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 15-ით. პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, ე. მინდელის ქ. №7.

დაფიქსირდა ერთი ხარვეზი:

2.4 ქვესტანდარტი დაწესებულებაში არ არის საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა დოკუმენტაცია სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუმცა დასკვნა ან მიწერილობა ვერ წარმოადგინა. აქედან გამომდინარე, ჩათვალეს, რომ ეს ქვესტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რატომ გახდა საჭირო ახლა ამ თემის წამოწევა, მაშინ როცა ამ პროგრამაზე უკვე იყო მინიჭებული უფლება, რაზედაც მაყვალა დარსანიამ განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებამ მოიპოვა უფლება ამ პროგრამის განხორციელებაზე, მაშინაც არ იყო წარმოდგენილი დასკვნა. ის დოკუმენტები, რაც მაშინ იყო წარმოდგენილი, იგივე დოკუმენტები იყო ახლაც წარმოდგენილი, თუმცა 131-ე დადგენილების მიხედვით, ჩათვალეს ხარვეზად.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან საუბარია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე უნდა მივიღოთ ის დოკუმენტი, რაც წარმოადგინა დაწესებულებამ, და დაამატა, რომ რადგან უნივერსიტეტს მიღებული აქვს ავტორიზაცია, როგორც უსდ-ს და ასევე, მოპოვებული აქვს პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება, კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დადგება ამ სტატუსების მინიჭების მიზანშეწონილობა.

მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები არ გაცემულა და პრეზენტაციაში წარმოადგინა მეორე სტანდარტის ქვესტანდარტები:

2.1 ქვესტანდარტი პროგრამის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები პარტნიორი ორგანიზაციები, დაწესებულება პროფესიული მომზადების პროგრამას ახორციელებს 2019 წლიდან 15 მსმენელზე. ამჟამად რაოდენობის გაზრდას ითხოვს კიდევ 15 მსმენელზე. ამასთან დაკავშირებით დაამატა პროგრამის განმახორციელებელი პირები/ინსტრუქტორები. ასევე წერილთან ერთად წარმოადგინა პროგრამის განმახორციელებელ პირთა რეზიუმე, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, წინარე ხელსეკრულებები, რომლითაც დასტურდება მათი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული ასევე დადასტურდა გასაუბრების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით.

2.2 ქვესტანდარტი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას, რომელიც ითხოვს კიდევ 15 მსმენელის დამატებას, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დამატებით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ზელშეკრულებები რამდენიმე პარტნიორ ორგანიზაციასთან, ხელშეკრულებები გაფორმებულია პროგრამის განხორციელების ვადით. პროფესიული მომზადების პროგრამა მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა არ გამოიწვევს განმახორციელებელი პირების და სასწავლო აუდიტორიების დამატების საჭიროებას, ვინაიდან სწავლება წარმართება შეჭრილი ცხრილით, პროგრამა გაწერილია 13 კვირაზე. მათ შორის თეორიულ სწავლებას ეთმობა 9 კვირა, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს 4 კვირა. აქედან გამომდინარე, 15 მსმენელის თეორიული კომპონენტის დასრულების შემდეგ, მეათე კვირიდან თეორიულ სწავლებაში ჩაერთვება 15 მსმენელი.

2.3 ქვესტანდარტი სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. წარმოდგენილ პროგრამაში ასახულია სასწავლო რესურსები, რომელსაც გამოიყენებენ პროგრამის განმახორციელებელი პირები, სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის.

მან დასძინა, რომ დაწესებულებას შეეძლო 30 მსმენელის მომზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის, შეფასებისთვის. ისინი მაქსიმალურად ფეხს უწყობენ ბაზრის საჭიროებიდან გამომდინარე სპეციალისტების, კადრების მომზადების უზრუნველყოფის პროცესს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ორი წლის წინ მიიღეს უფლება და მაშინვე წამოვიდა დაინტერესება, ეს არის დიდი ორგანიზაციები, რომლებიც ასეთ კადრს ითხოვს, რადგან თუ არ ეყოლებათ კვალიფიციური კადრი, მათ უფლება არ აქვთ აფეთქებები აწარმოონ.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმატებები უსურვა დაწესებულებას ასეთი მოთხოვნადი პროგრამის განხორციელებაში და დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ამფეთქებელი“ /00281/ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) დანართით განსაზღვრულ პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ამფეთქებელი“/00281 გაეზარდოს მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით (დანართი 3).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 12:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|----------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|------------------------------------|
| 01131 | საქმისმწარმოებელი | პროფესიული მომზადება | მეოთხე | 12 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52 |

დანართი 2

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|----------------------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|--------------------------------------|
| 01005 | ფინანსური ანგარიშგების მომზადება | პროფესიული მომზადება | მეხუთე | 10 | ქართული | 20 | ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შეს. №8 |

დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|----------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|------------------------------------------------|
| 00281 | ამფეთქებელი | პროფესიული მომზადება | მესამე | 13 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77; ე. მინდელის ქ. №7 |